

სსიპ “იუსტიციის უმაღლესი სკოლის” დამოუკიდებელი საბჭოს
სხდომის ოქმი №9

ქ. თბილისი

04 ნოემბერი, 2019 წელი

სხდომის დაწყების დრო: 18:13 საათი

სხდომის დამთავრების დრო: 18:34 საათი

სხდომის მომწვევი პირი: საბჭოს თავმჯდომარე გიორგი ტყავაძე

სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები:

საბჭოს თავმჯდომარე: გიორგი ტყავაძე

საბჭოს წევრი: ამირან ძაბუნაძე

საბჭოს წევრი: ხატია არდაზიშვილი

საბჭოს წევრი: კარლო ბზიშვილი

სხდომას არ ესწრებოდნენ დამოუკიდებელი საბჭოს წევრები სერგო მეთოფიშვილი და ირმა გელაშვილი, რომელთათვისაც ცნობილი იყო სხდომის გამართვის თარიღის, დროისა და დღის წესრიგის შესახებ.

სხდომას ასევე, ესწრებოდნენ: იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექტორი ვანო ბოლქვაძე და სკოლის ადამიანური რესურსების მართვის მთავარი კონსულტანტის მოვალეობის დროებით შემსრულებელი გვანცა ხუციშვილი.

„იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება დამოუკიდებელი საბჭოს წევრთა უმრავლესობა. დამოუკიდებელი საბჭოს სხდომას ესწრებოდა 4 წევრი, შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ გიორგი ტყავაძემ დაადასტურა სხდომის უფლებამოსილება და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

სხდომის მდივნად ერთხმად არჩეულ იქნა ხატია არდაზიშვილი.

განსახილველი საკითხები:

1. იუსტიციის უმაღლესი სკოლის XIV ჯგუფის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიის დამტკიცება (6-თვიანი სასწავლო კურსის მსმენელები);
2. სხვა ადმინისტრაციული საკითხები.

საკითხი №1

ვინაიდან, განსახილველი საკითხი ეხებოდა მსმენელთა საკვალიფიკაციო სიის დამტკიცებას და შესაბამისად, შეიცავდა იუსტიციის მსმენელთა პერსონალური მონაცემების შემცველ ინფორმაციას, აღნიშნული ინფორმაციის გამჟღავნებისგან დაცვის მიზნით, დამოუკიდებელმა საბჭოს (ერთხმად) სხდომა დახურულად გამოაცხადა.

მოისმინეს: სკოლის დირექტორმა, ვანო ბოლქვაძემ დამოუკიდებელ საბჭოს მოახსენა, რომ 2019 წლის 26 სექტემბერს ჩატარდა იუსტიციის უმაღლესი სკოლის XIV ჯგუფის მსმენელთა სკოლის დამამთავრებელი გამოცდა, რის შედეგადაც, სრული სასწავლო კურსი დაასრულა იუსტიციის მსმენელთა XIV ჯგუფის შვიდმა მსმენელმა (6-თვიანი სასწავლო კურსი).

„იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მიხედვით, სკოლაში სწავლების დამამთავრებელი გამოცდის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში სკოლის

დირექტორი, სკოლის დამოუკიდებელ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს, იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიას. თუმცა, დირექტორის მივლინებაში ყოფნის გამო საკვალიფიკაციო სიის წარდგენა და დამტკიცება მოხდა 4 ნოემბერს.

„იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის შესაბამისად, საკვალიფიკაციო სიის შედგენის დროს კოეფიციენტით ჯამდება იუსტიციის მსმენლის: სასერტიფიკაციო გამოცდაში ან მასთან ამ კანონის შესაბამისად გათანაბრებულ გამოცდაში მიღებული ქულები, სკოლაში თეორიული კურსის დამამთავრებელი გამოცდის ჩაბარებისას მიღებული ქულები, სტაჟირების გავლისას მიღებული ქულები და სკოლის დამამთავრებელი გამოცდის ჩაბარებისას მიღებული ქულები. ჯამური ქულის გამოყვანის წესი დადგენილია იუსტიციის უმაღლესი სკოლის წესდებით. სკოლის დირექტორმა, ვანო ბოლქვაძემ სკოლის დამოუკიდებელ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად შედგენილი იუსტიციის მსმენელთა XIV ჯგუფის 6-თვიანი სასწავლო კურსის მსმენელთა საკვალიფიკაციო სია.

იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიის დამტკიცების შესახებ საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭი უყარეს: მომხრე - 4 (ოთხი), წინააღმდეგი - არცერთი.

გადაწყვიტეს: 1. დამტკიცდეს იუსტიციის მსმენელთა XIV ჯგუფის 6-თვიანი სასწავლო კურსის მსმენელთა (შვიდი მსმენელი) საკვალიფიკაციო სია თანდართული რედაქციით (დანართი 1). 2. იუსტიციის მსმენელთა XIV ჯგუფის 6-თვიანი სასწავლო კურსის მსმენელებს ეცნობოთ მათი რიგითი ნომერი საკვალიფიკაციო სიაში. 3. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2019 წლის 04 ნოემბრიდან.

საკითხი №2

სხვა ადმინისტრაციული საკითხების განხილვა გადაიდო დამოუკიდებელი საბჭოს შემდეგი სხდომისათვის.

სხდომის თავმჯდომარე:



გიორგი ტყავაძე

სხდომის მდივანი:



ხატია არდაზიშვილი